

ტესტი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

III ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: I. ტექსტის რედაქტირება; II. არგუმენტირებული ესე; III. მხატვრული ტექსტის ანალიზი.

ტესტის ყოველი ნაწილის შესასრულებლად აუცილებელი ინსტრუქციები თან ახლავს შესაბამის დავალებებს.

გაითვალისწინეთ, ტესტის III ნაწილში მოცემულია ორი დავალება. უნდა აირჩიოთ და შეასრულოთ ერთ-ერთი მათგანი (დავალება N1 ან დავალება N2).

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 3 საათი და 45 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



I. ტექსტის რედაქტირება (16 ქულა)

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ. **გაითვალისწინეთ**, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

ოლღა გურამიშვილი

ოლღა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი ილია ჭავჭავაძის მეუღლის უახლოესი ნათესავი და მისივე ნათლული იყო. თბილისის ქალთა გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. ამ პერიოდში ოლღა ესწრებოდა პროფესორ თარხნიშვილის ლექციებს ბუნებისმეტყველებაში.

გაზეთ „დროების“ გარშემო თავმოყრილმა მოწინავე ქართველობამ მიზნად დაისახეს ახალგაზრდა ქალების ხელშეწყობა რათა მათ უმაღლესი განათლების მისაღებათ ევროპაში გამგზავრება შეძლებოდათ. მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა 17 წლის ოლღა სახლიდან გაიპარა და სხვის პასპორტით გაემგზავრა შვეიცარიაში ქალაქ ციურიხში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ოლღა ასწავლიდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქალი მასწავლებელი რუსეთის იმპერიაში. მას თვით იაკობ გოგებაშვილმა გაუწია რეკომენდაცია. 1883 წელს ოლღა გურამიშვილმა ნიკო ნიკოლაძეზე დაიწერა ჯვარი. ახალდაქორწინებულები პეტერბურგში გაემგზავრნენ რადგან ნიკო იქ იყო გადასახლებული. საქართველოში დაბრუნებული ნიკოლაძეები დიდ ჯიხაიშში დასახლდნენ. ოლღამ აქ გახსნა ქალთა პირველი სკოლა სადაც იგი ტექნიკის სიახლეებს აცნობდა მოსწავლეებს რადგან მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ, რომ სოფლის მეურნეობა უკეთ გაეცნობინათ. იგი ახალგაზრდებისათვის ახდენდა აბრეშუმის ჭიის მოვლამოყვანის, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის სწავლებას.

II. არგუმენტირებული ესე (24 ქულა)

ქვეყნის განვითარება დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სცემენ პატივს საზოგადოების წევრები ერთმანეთის შრომას.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

გაანალიზეთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ჩამოაყალიბეთ თქვენი დამოკიდებულება ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებდა, თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ:

ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.

ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

III. მხატვრული ტექსტის ანალიზი (30 ქულა)

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან ერთ-ერთი და მხოლოდ ის შეასრულეთ!

დავალება N 1

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ალუდა ქეთელაური“:

შატილს გადმოდგა ბანებზედ
ხევსურთ ქალი და რძალია,
გამეეგებნენ ალუდას
ძმა – ძმისწულები სამნია.
ბევრს უნდა ამბის გაგება,
ბევრნი მოვიდნენ სხვანია.
მიულოციან ალუდას:
– სახელიანიმც ხარია!

ბებერი ჰკითხავს უშიშა
ალუდას ამბავს ცდისასა.
უამბობს ქეთელაური

ამბავს ღილღველის მგლისასა:
„აქით წასულმა, უშიშავ,
კვალი შავაჭერ მთისასა,
მოკლედავ გადავეწივე,
ნავალ დავატყვე ქვიშასა.
ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე,
წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა.
იმ ცხონებულსა მუცალსა
რკინა სდებიყო გულადა!..

– რას ამბობ? ქისტის ცხონება
არ დაწერილა რჯულადა.

– მით ვაქებ ვაჟკაცობასა,
არ იყიდება ფულადა.
სამ მე ვესროლე, სამ – იმან,
მესამით დავასრულია.
მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა
გაუნაძომა გულია.
ნატყვიარს ბრძამით იფევდა,
ისრე დალია სულია.
სულს არ აცლიდა ამოსვლას,
კიდევ მიხსენა რჯულია.

ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარამარაობთ,
ღვთიშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!

ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
„დაე დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევივარ მრჩევლადა“.

ხევსურთა ახალუხლები
გადაიქციან ტყემლადა,
ავად შაჰხედნეს ალუდას,
შაუძრახნიან ხმელადა:
„მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,
რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
აიხსენ გველისპირული,

დიაცთ გადუგდე ცხემლადა;
ფარი – ქსლის ჩასაბეჭავად,
ხირიმ გაუდვან გარადა;
დამბაჩა გამოადგებისთ
საბრუნლად, თითისტარადა!
გამუქცევიხარ ქისტოშვილს,
გადუქცევიხარ ქალადა.
მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკვენ მისდევდი მა რადა?!“

ზურგი აქციეს ალუდას
პირითა ჯავრიანითა;
თავ-თავის სახლებს მიჰმართეს
ჭერხოთით კარიანითა.
გაწირეს ქეთელაური
გულითა ნარიანითა,
სახელსა ალუდაისას
იმახდენ ბრალიანითა.

შატილს მინდიაც მოიდა
ზერდაგით რვალიანითა,
წელზე ნარტყამის ფრანგულით,
მკლავითა ფარიანითა,

თორმეტის ქისტის მამკლავი
შუბითა ტარიანითა.
ირემს ჰგავ მინდის წითლად
შუბლითა მთვარიანითა.

აღუდას აუგს ეტყოდენ
სიტყვითა შხამიანითა.
იწყინა, შუბლი დაკეცა
ნაოჭით ზარიანითა.
– ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს
ენითა ქარიანითა!
ადვილად მტერი მოგიკვდესთ,
ადვილ გავიგო მართალი.
ბევრ დაღონება არ გვინდა,
ერთი დღის მეყოს საგძალი,
გზა-კვალი არ ამერევა,
ყოველმხრივ ვიცი სავალი,
დღესავ მოგივათ მინდია,
მანამ დაბძანდეს მრავალი.

ქუსლი ჰკრა, წითლა გამაღდა,
ნიავექარივით მავალი.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელებია, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ ალუდა ქეთელაურის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!

დავალება N2

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთები გურამ რჩეულიშვილის მოთხრობიდან „ნელი ტანგო“:

სოხუმის საცურაოზე ცალთვალა კაცი გიტარას აკვნიებდა. ჩარდახის ქვეშ გახურებული ქალაქის თამაში იყო. სილაზე, შუა მზის გულზე, უღმერთოდ იხრუკებოდნენ მოაგარაკენი. გიტარა კი უკრავდა.

თორმეტი წლის იგორი წყალში შევარდა და სუფთა, დამუშავებული მკლავურით გაცურა. მისი ფეხები შეუწყვეტილ, თანაბარი სიჩქარით მუშაობდნენ...

– აი, მაგისგან ნამდვილად გამოვა კარგი მოცურავე, – თქვა იგორის მამამ და თავის მეუღლეს დამწვარ მხარზე ხელი დაადო...

ბავშვი გამაფრთხილებელ დროშას გასცდა და იმავე სისწრაფით მიდიოდა. დალლა მაინც არ ეტყობოდა. ორმოცამდე მეტრი კიდევ იცურა მკლავურით, შემდეგ ბაყაყურზე გადავიდა. იგი ფეხებს ბოლომდე ღუნავდა და ლამაზი, მოქნილი მოძრაობით აძლევდა ბიძგს წყალზე ჰორიზონტალურად გაწოლილ სხეულს...

ცოლ-ქმარი ახლა ქვიშაზე წამომჯდარიყო.

– კარგად ცურავს, – თქვა ქმარმა.

– ძალიან! ნახე რა მოქნილი მოძრაობები აქვს! – სახე გაუბრწყინდა ცოლს.

– მომავალში პირველი მოცურავე იქნება, – დაბეჯითებით დაიქნია თავი ივანემ ...

– ივანე, ხედავ იგორს? – ქალი მსუბუქად დაეყრდნო მის მხარს და წამოდგა.

ივანემ თითი გაიშვირა. შორს ძლივს მოჩანდა ბავშვის თავი. ლიდამ უხალისოდ გაიცინა: იგი წელამდე შევიდა წყალში, შემდეგ ბრასით გაცურა. ნაპირზე დარჩენილი ივანე ახლა გულდაღმა იწვა. კარგა ხანი იყო ასე; მზე უწვავდა ბეჭებს. მერე გაიფიქრა: „დიდი მოუსვენარი ქალია ლიდა... სულ დედას დაემსგავსა იგორი, თუმცა რაღა შორს მივდივარ, მეც ეგეთი გული მაქვს. კარგია შორს, ტალღებში ცურაობა“. სუსტმა ნიავმა ქვიშა წამოხვეტა. ზღვაზე პატარა ხუჭუჭა ტალღები აიშალა.

გიტარა კი უკრავდა შეუსვენებლივ.

დამკვრელს შავი, გახუნებული ხალათი ეცვა და თავზე ძველი ჭილოფის ქუდი ეხურა.

ივანე წამოდგა. ქარმა კვლავ მიაყარა ქვიშა. შორს ტალღებში ხან იკარგებოდა, ხან გამოჩნდებოდა ვილაცის თავი, კარგა მოშორებით, იმ მიმართულებით მეორე მიცურავდა. მან ქუდის ფერზე იცნო ცოლი. წინა მისი ბიჭი უნდა ყოფილიყო. კარგად დაუკვირდა: „ნეტავ რატომ არა ბრუნდება უკან, მთელი საათია, რაც შესულია. კაცი ორი დღით ჩამოსულხარ და ეგ მაიმუნი არ გაცლის დასვენებას“, – გაიფიქრა ივანემ და ზღვაში შევიდა, მერე თავისი ზორობა მკლავებით გასცურა. რამდენიმე მოსმით დროშებს გასცდა, შემდეგ ბაყაყურზე გადავიდა. ფართო მკერდით აპობდა ორმოცი წლის ვაჟკაცი ტალღებს და არაფერზე აღარ ფიქრობდა, მხოლოდ ცდილობდა სწორი გეზი არ დაეკარგა. კარგა ხანს იცურა ასე, მერე ზურგზე გადმობრუნდა და ნაპირს გახედა, – ხუთასიოდე მეტრი ჰქონდა გავლილი. ცოლი და შვილი კი არ ჩანდნენ. იგი ახლა ისევ გულზე გადმოტრიალდა, მერე გაიხსენა წყალბურთის ილეთები და მოქნილი მოძრაობით წყლიდან წელამდე ამოვიდა. წამნახევარი შეიმაგრა თავი. სამასიოდე ნაბიჯზე შეამჩნია ისინი. სწრაფად გასცურა მათკენ. როცა მიუახლოვდა, მეუღლის გაფითრებული სახის დანახვაზე უსიამოვნო გრძნობამ შეიპყრო. მას ქუდი დაჰკარგოდა და თმა თვალებზე ჰქონდა ჩამოშლილი. ქალმა უხმოდ მიაბრუნა თავი შვილისაკენ. ივანემ ვაჟიშვილს შეხედა. მას სახე დამანჭოდა ტკივილისაგან. მამამ დაყვინთა, ხელით მოუსინჯა ფეხები და განასკვულ ადგილას უკბინა. იგორმა შვება იგრძნო. ნელა გასცურა ნაპირისაკენ. ახლა ლიდა გახდა ცუდად. მთელი სამასი მეტრის მანძილზე ზურგით ეთრია ვაჟი და ახლა ძალაწართმეული, ძლივსლა იდგა ტალღებზე.

ღელვა კი სულმატულობდა.

ივანემ მეუღლის ხელი მხარზე გადაიდო და შვილის მიმართულებით გასცურა. ძლივს მიიწევდა წინ. იქ იგორი იწვა წყალზე, მას უფრო მეტად ჰქონდა სახე გატანჯული.

– მა... – ძლივს ამოიოხრა და მთელი ყლუპი მარილიანი წყალი ჩაუშვა პირში. – მა... ახლა წვივ-ი, ბარ-მა-ყიც გა-მე-ნასკვა...

იგორი ფსკერისკენ წავიდა. ივანემ ძლივს მოასწრო თმაში ეტაცა ხელი, დედამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ბავშვს მხრებში ამოუჯდა. მამა მხნეობდა. მან ცოლს მარჯვენა ხელი ჩააკიდებინა ბავშვის მარცხენასათვის და თვითონ შუაში ამოყო თავი. დედა-შვილი აქეთ-იქიდან ჩამოეკიდნენ ბეჭებზე. იგორს გული უწუხდა.

„ასე არ ივარგებს, ბევრ წყალს ყლაპავს“, გაიფიქრა ივანემ და ერთი ხელით თავი აუწია ბავშვს. ახლა იგი ფეხებითა და ცალი ხელით მიცურავდა. ლიდას თვალები ჩაუსისხლიანდა. იგი გაშტერებული უყურებდა პატარას. მისი მარჯვენა საბედისწეროდ ჩასჭიდებოდა შვილის მაჯას.

ივანემ შორს დროშა დაინახა. ცოტა გულს მოეცა. თავისუფალ ხელში თითქმის გამოელა ძალა. მომატებული ტალღები თავზე უვლიდა მათ. ტანს ჰორიზონტალურად ველარ აჩერებდა, ახლა წყლის სიღრმიდან აძლევდა ბიძგებს ბეჭებზე დაკიდებულ თითქმის უგონო ცოლ-შვილს. ორივენი ბევრ წყალს ყლაპავდნენ, რაც უფრო და უფრო უმძიმებდა ტვირთს. სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ აი სულ ახლოს მოჰკრა თვალი წითელ დროშას და გამხნევდა – ნაპირამდე ორმოცდაათამდე მეტრილა რჩებოდა.

შუადღის სიცხესა და მხურვალე ქარს მოცურავეები ჩარდახის ქვეშ შეერეკა. ვიღაცა ფეხზე წამოდგა და ხელი ზღვისკენ გაიშვირა:

– შეხეთ, კაცო, მთელი დღე რომ წყალში იყვნენ, არ მოსწყინდებათ.

– აბა, მერე მთელი ოჯახი როგორ ცურავს, – დაემოწმა მეორე, თავი წამოსწია, შემდეგ წყალს მზერა მოაშორა და მის წინ დაგდებულ აგურის ცხრიანს აგურის ვაჟი დაარტყა.

– ვინ არიან? – თავაულებლად იკითხა ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილმა მელოტმა და თვალი მეზობლის ქალაღისაკენ გააპარა.

– განა არ იცი? ხარკოველები, ჩვენს ქვევით ცხოვრობენ, – უპასუხა იქვე მჯდარმა ქალმა...

გიტარა ახლა მოთამაშეთა დაკვეთით უკრავდა.

დროშას გამოცილებულ ივანეს თვალთ დაუბნელდა. დედა-შვილმაც გრძნობა დაკარგა. მხოლოდ ჩაჭიდებული ხელი დარჩა ლიდას ისევე... ივანე ველარაფერს ხედავდა. მან შვილის თავს შეუშვა ხელი და ორივე ხელით მოუსვა. იგი ველარც დროს, ველარც შიშს ველარ გრძნობდა.

მხსნელებმა თავთხელ წყლიდან სამივენი ნაპირზე გამოიყვანეს და ფიცრებზე გააწვინეს. საცურაოს ექიმმა ხელოვნური სუნთქვით სცადა მათი მობრუნება. ჩქარა იგორი და ლიდა გრძნობაზე მოვიდნენ. ძლივს გააშვებინეს დედას შვილის მაჯაზე

ჩაჭიდებული ხელი. გონს მოსულმა ქალმა გულზე მიიკრა პატარა, რომელიც ფიცარზე უმოძრაოდ იწვა. მთელმა საცურაომ აქ მოიყარა თავი...

სალამოს კაფეში ჯაზი „ისტამბულს“ უკრავდა. წყვილები გამალებული ცეკვავდნენ. წაბლისფერთმიანმა ვაჟმა გოგონა გამოიწვია საცეკვაოდ. ნელა შეცურდნენ მოედანზე...

„ისტამბული კონსტანტინოპოლიდან“ გაისმოდა მოედანზე. ბიჭს სახე აუმეტყველდა, მერე თითქმის ჩურჩულით დაიწყო:

ბიჭი: იყავით დღეს საცურაოზე?

გოგო: რა თქმა უნდა, დღეს საუცხოოდ გავშავდი.

ბიჭი: მართლაც კარგად ხართ გაშავებული; ჰო, დაესწართ იმ ამბავს?

გოგო: ჰო, ჰო, იშვიათი შემთხვევაა, დედა-შვილს აუარებელი წყალი უყლაპიათ, მაგრამ გადარჩნენ.

ბიჭი: აბა, საწყალი მამა, იმან გამოათრია. ნეტა იმასაც წყალი ეყლაპა.

გოგო: მაშინ ისიც გადარჩებოდა. ექიმმა თქვა, ზედ ნაპირთან აქვს გული გახეთქილი, უბედურს...

ბიჭი: საცოდავი, კარგი ვაჟკაცი ყოფილა.

გოგო: რა თქმა უნდა, ახლა ცოტანი არიან ასეთები.

ჯაზი ახლა მელოდიურ ტანგოში გადავიდა, ბიჭმა ახლოს მიიკრა ქალი.

ბიჭი: მაგრამ, მენდეთ, მაინც არიან.

ქალი აიღეწა, მერე ვაჟკაცს ახედა, მოეწონა მისი ლამაზი, მზისგან გარუჯული სახე და მთლიანად მინებდა ტანგოს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას.

წერით დავალებას ახლავს სამი მითითება. ეს მითითებები უნდა შეასრულოთ ისე, რომ თხზულება აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; უნდა დაიცვათ სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაწერი არ გასწორდება, თუ მოცემული ტექსტი მთლიანობაში არაადეკვატურად არის გაგებული, ნაშრომი ტექსტის პერიფრაზია ან ენობრივად იმდენად გაუმართავია, რომ აზრის გაგება ჭირს.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და თხზულების შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ, ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემატება 120 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

გაანალიზეთ მოცემული ტექსტი შემდეგი მითითებების მიხედვით:

- იმსჯელეთ დედის მხატვრული სახის შესახებ;
- იმსჯელეთ ტექსტის მთავარი სათქმელის შესახებ;
- იმსჯელეთ ავტორის სტილისა და ტექსტის მხატვრულ-გამომსახველობითი თავისებურებების შესახებ.

თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ!